შპს თი-ემ-სი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 31.12.2023 თარიღისთვის

	შენიშვნა	31-12-23	31-12-22	31-12-21
		ლარი	ლარი	ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	1,212,874	1,241,589	1,273,743
არამატერიალური აქტივები	4	25,987	25,987	25,479
სულ გრძელვადიანი აქტივები		**1,238,861**	**1,267,576**	**1,299,222**
მარაგები		-	1,616	2,543
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	320,054	304,638	192,706
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		109,676	57,222	81,551
სხვა მიმდინარე აქტივები	6	783,471	696,669	656,563
სულ მოკლევადიანი აქტივები		**1,213,202**	**1,060,145**	**933,363**
სულ აქტივები		**2,452,063**	**2,327,721**	**2,232,585**
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	7	1,246,667	1,230,257	1,278,149
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**1,246,667**	**1,230,257**	**1,278,149**
საგადასახადო ვალდებულებები		77,887	43,829	29,064
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	314,323	203,099	230,892
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**392,210**	**246,928**	**259,956**
სულ ვალდებულებები		**1,638,877**	**1,477,185**	**1,538,105**
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		813,186	850,536	694,480
სულ საკუთარი კაპიტალი		**813,186**	**850,536**	**694,480**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**2,452,063**	**2,327,721**	**2,232,585**

შპს თი-ემ-სი-ს
დირექტორი: მამუკა მარდალეიშვილი _____

მოგება ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება 01.01.2023 - 31.12.2023 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2023	2022
		ლარი	ლარი
ამონაგები	9	3,539,723	2,597,173
ამონაგების თვითღირებულება		-	-
საერთო მოგება		**3,539,723**	**2,597,173**
ადმინისტრაციული ხარჯები	10	(3,519,601)	(2,369,081)
ფინანსური შემოსავალი / ხარჯი		(53,396)	(59,540)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი		(4,077)	(12,496)
მოგება დაბეგვრამდე		**(37,350)**	**156,056**
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		**(37,350)**	**156,056**

შპს თი-ემ-სი-ს
დირექტორი: მამუკა მარდალეიშვილი _____

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 01.01.2023 - 31.12.2023 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი	**გაუნაწილებელი მოგება**	**ჯამი**
	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი - 31.12.2020	**30,000**	**942,976**	**942,976**
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	(30,000)	-	(30,000)
გაცემული დივიდენდები	-	-	-
პერიოდის მოგება	-	(218,496)	(218,496)
ნაშთი - 31.12.2021	**-**	**724,480**	**694,480**
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-
პერიოდის მოგება	-	156,056	156,056
ნაშთი - 31.12.2022	**-**	**880,536**	**850,536**
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-
პერიოდის მოგება	-	(37,350)	(37,350)
ნაშთი - 31.12.2023	**-**	**843,186**	**813,186**

შპს თი-ემ-სი-ს
დირექტორი: მამუკა მარდალეიშვილი _____

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს თი-ემ-სი-სა და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) შპს არი (ს/კ 406115341) და შპს ინოვეითივ სოლუშენს Innovatine Solutions LLC (ს/კ 404406059) წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.
შპს თი-ემ-სი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 06/07/2009). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, უნივერსიტეტის ქუჩა, N 17ა. მისი ძირითადი საქმიანობაა სააღრიცხვო, აუდიტორული, საგადასახადო, იურიდიული და სხვა ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურებები.

კომპანიის წილის მესაკუთრე:

მამუკა მარდალეიშვილი, პ/ნ 01017009823 - 100%

კომპანიის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა:

დირექტორი - მამუკა მარდალეიშვილი, 01017009823

შპს თი ემ სი-ს მიერ 2011 წელს შეძენილია შპს ინოვეითივ სოლუშენს Innovatine Solutions LLC (ს/კ 404406059) წილის 73.68%
ხოლო შპს არი-ს (ს/კ 406115341) 50 %-იანი წილის მფლობელი გახდა 27/03/2014 თარიღში.
ორივე შვილობილი კომპანია საანგარიშგებო თარიღისთვის უმოქმედოა და არ ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას.

2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე ჯგუფის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად ჯგუფის მიერ აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაციაც ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სავალუტო კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი ნებისმიერი სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც ჯგუფი თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31-12-23	31-12-22	31-12-21
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6894	2.7020	3.0976
1 ევრო/ლარი	2.9753	2.8844	3.5040

ამონაგების აღიარება

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა კლიენტს ანაზღაურების შესაბამისი ოდენობით, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის და მომსახურების სანაცვლოდ.

ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფი ზოგადად აღიარებს შემდეგი ტიპის შემოსავლებს:

საბუღალტრო, აუდიტორული, იურიდიული, საგადასახადო და სხვა ბიზნეს საკონსულტაციო საქმიანობებიდან მიღებული ამონაგები.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. დივიდენდებზე გადაიხდება მოგების გადასახადი და ის დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებად განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში.

გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება.

საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული

ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. მიწასა და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. სხვა აქტივებს ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი
- სატრანსპორტო საშუალებები 10 პროცენტი
- ოფისის აღჭურვილობა 20 პროცენტი
- ავეჯი და სხვა ინვენტარი 20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება

იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	მცენარეები
პერიოდი 01/01/2021	159,370	1,067,379	84,394	10,922	217	3,388
შემოსვლა	-	20,525	49,928	18,122	-	-
ცვეთა	-	(48,669)	(32,831)	(5,135)	(217)	-
გასვლა	-	-	(40,512)	(13,138)	-	-
პერიოდი 31/12/2021	159,370	1,039,235	60,979	10,770	(0)	3,388
პერიოდი 01/01/2022	159,370	1,039,235	60,979	10,770	(0)	3,388
შემოსვლა	-	36,526	17,694	2,397	-	-
ცვეთა	-	(60,740)	(23,616)	(4,297)	-	-
გასვლა	-	-	(116)	-		
პერიოდი 31/12/2022	159,370	1,015,021	54,941	8,870	(0)	3,388
პერიოდი 01/01/2023	159,370	1,015,021	54,941	8,870	(0)	3,388
შემოსვლა	-	-	59,354	12,256	-	-
ცვეთა	-	(61,339)	(29,265)	(5,971)	-	-
გასვლა	-	-	(3,749)	-		
პერიოდი 31/12/2023	159,370	953,682	81,280	15,154	(0)	3,388

4. არამატერიალური აქტივები

	სავაჭრო ნიშნის გამოყენება	სხვა პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზია
პერიოდი 01/01/2021	17,756	7,723
შეძენა	-	-
ცვეთა	-	-
ჩამოწერა	-	-
პერიოდი 31/12/2021	17,756	7,723
პერიოდი 01/01/2022	17,756	7,723
შეძენა	-	508
ცვეთა	-	-
ჩამოწერა	-	-
პერიოდი 31/12/2022	17,756	8,231
პერიოდი 01/01/2023	17,756	8,231
შეძენა	-	-
ცვეთა	-	-
ჩამოწერა	-	-
პერიოდი 31/12/2023	17,756	8,231

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022	2021
	ლარი	ლარი	ლარი
სავაჭრო მოთხოვნა აუდიტორული, საბუღალტრო, იურიდიული და სხვა საკონსულტაციო საქმიანობიდან	320,054	304,638	192,706
სულ	**320,054**	**304,638**	**192,706**

6. სხვა მიმდინარე აქტივები

	2023	2022	2021
	ლარი	ლარი	ლარი
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი	783,471	696,669	656,563
სულ	**783,471**	**696,669**	**656,563**

7. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2023	2022	2021
	ლარი	ლარი	ლარი
ადგილობრივი ბანკებიდან ნასესხები ფულადი სახსრები	1,246,667	1,230,257	1,278,149
სულ	**1,246,667**	**1,230,257**	**1,278,149**

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2023	2022	2021
	ლარი	ლარი	ლარი
სავაჭრო ვალდებულებები	10,011	17,078	4,713
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	118,534	3,316	69,633
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	954	954	954
მიღებული ავანსები	184,824	181,750	155,591
სულ	**314,323**	**203,099**	**230,892**

9. ამონაგები	2023	2022	2021
	ლარი	ლარი	ლარი
საოპერაციო შემოსავლები აუდიტორული, საბუღალტრო, იურიდიული, საგადასახადო და სხვა ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურებიდან	3,539,723	2,597,173	1,924,082
სულ	**3,539,723**	**2,597,173**	**1,924,082**

10. ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2022	2021
	ლარი	ლარი	ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	(3,079,474)	(2,028,036)	(1,439,179)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(96,592)	(88,672)	(86,853)
იჯარის ხარჯი	(9,829)	(9,600)	(9,600)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(333,706)	(242,774)	(186,552)
სულ	**(3,519,601)**	**(2,369,081)**	**(1,722,185)**

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშო პერიოდის შემდეგ არ დაფიქსირებულა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კონსოლიდირებული ანგარიშგების შინაარსზე

12. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2024 წლის 25 სექტემბერს

შპს თი-ემ-სი-ს
დირექტორი: მამუკა მარდალეიშვილი _____